ცნობის ფურცელი

№ 1714 ყოველ-დღიური გამოცემა 1896—1902 პარასკევი, 1 თებერვალი № 1714

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“ ტელეფონი № 372.

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიძე
რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი-საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—7)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე. ხუთშაბათს და შაბათს გარდა.

ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშო 8—10 საათამდე.

გ. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის 10—11 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1½—2 საათამდე.

სტ. ალ. მოინო—ხირურგია, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 5—6 საათამდე.

გ. ს. დავიდოვი—შინაგანი და ბავშვების 7—8 საათამდე.

გ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ღამ-ღამობით ექიმების მორიგეობაა, ღამის 9 საათიდან დილის 7 საათამდე. მსურველთ შეუძლიათ სახლშიაც წაიყვანონ.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

ქართული თეატრი
შაბათს, 2 თებერვალს, 1902 წელს
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
დაკლებულის ფასებით
« ნ. ვ. გოგოლის სახსოვრად »
ვასო აბაშიძის და სხვათა მონაწილეობით
I
რევიზორი
კომედია 5 მოქ. გოგოლისა, თარგ. ალ. ჭიჭინაძისა.
II
აპოთეოზი ცოცხალ სურათებით.

მონაწილეობენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, მათიაშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანაშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.
დასაწყისი 8 საათზე. ფასები დაკლებულია.
მზადდება „ავადმყოფი ხალხი“ და „პედაგოგები“. რეჟისორი ვ. გუნია

ექიმი
ვახტანგ ღამბაშიძე
შინაგანის და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს იღებს დილის 9—11-მდე და საღამოს 5—7 საათამდე. რეუტის ქუჩა № 24.

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მალალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (0 —1)

ქუთათურების საყურადღებოდ

ყველამ იცის, რა დიდი ვნება მოუტანა ქუთაისს იმ გარემოებამ, რომ იგი ამიერ-კავკასიის რკინის გზის უმთავრეს მაგისტრალის გარედ დარჩა. თუმცა საქმე ცოტათი გამოაკეთა რიონამდე შტოს გაყვანამ, მაგრამ იმერეთის დედა-ქალაქის განვითარება მაინც ძალიან შეფერხდა იმის გამო, რომ უმთავრესსა და პირდაპირ სავაჭრო გზას განზე დარჩა, დაშორდა; ქუთაისი თითქოს მოსწყდა განათლებულ და განვითარებულ ქვეყანას და მიყრუებულ დიდ სოფელსავით მიიძინა.

ქუთაისი ცოტათი გვიან მიხვდა, რა სამწუხარო მდგომარეობაში ჩააყენეს იგი რკინის გზის მკეთებლებმა, მაგრამ მას შემდეგ ქუთათურები აღარ დაწყნარებულან: როგორც კი რომელიმე გარემოება საბუთს აძლევდა, მაშინვე იწყებდნენ შუამდგომლობას, ლაპარაკს და ყოველგვარ ცდას „უსამართლო შეცდომის გასასწორებლად“. ყველას ახსოვს, მაგალითად, როგორი მხნეობა გამოიჩინა ქუთაისმა 1895—96 წლებში, როდესაც საშინელმა ნიაღვრებმა წალეკეს რკინის გზის ლიანდაგი დიდ მანძილზე, მიხაილოვ-ყვირილის ნაწილზე. ქუთაისი მაშინ ბევრს ეცადა, რომ მთავრობას, გაფუჭებულ გზის აღდგენის მაგიერ, შეეცვალა მაგისტრალის მიმართულება და გზა პირდაპირ ქუთაისზე გაეყვანა. გზათა სამინისტროს განკარგულებით მაშინ გამოკვლევაც იყო მოხდენილი ამ მიმართულებისა და ინჟინერების მხრით ქუთაისის სასარგებლო მოსაზრებაც გამოითქვა, მაგრამ საქმე მაშინაც მიჩუმდა და გზათა უწყებამ ისევ ძველი მიმართულება ირჩია.

ახლა კი, უნდა ვახაროთ ქუთათურებს, ეს საკითხი კვლავ აღიძრა, და როგორც სჩანს, ამ ჟამად უფრო სერიოზულ ხასიათს იღებს!

საქმე ის არის, რომ გზათა უწყებას განზრახვა აქვს მიხაილოვსა და ბათუმს შუა რკინის გზის მეორე ლიანდაგი გაიყვანოს. ჯერ ეს მხოლოდ განზრახვაა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ამის განხორციელება ახლოს მომავალში უნდა მოხდეს: ამიერ-კავკასიის დღევანდელს მოთხოვნილებას ველარ აკმაყოფილებს ჩვენი რკინის გზა; მიმოსვლაც, საქონლის გადაზიდვაც მეტად თვალსაჩინოდ გაიზარდა და საჭირო შეიქნა გზის გაფართოვება...

რა კი ეს საქმე აღიძრა, ცხადია, კვლავ იბადება საკითხი მეორე ლიანდაგის მიმართულების შესახებ. მართალია, რკინის გზის უწყებას და ხაზინას უფრო იაფად დაუჯდება ახლანდელ ლიანდაგის გაყოლებით, მიმართულების შეუცვლელად, გააკეთოს მეორე ლიანდაგიც, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამას ზოგიერთი გარემოება ხელს უშლის. თავი და თავი ხელშემშლელი გარემოება ის არის, რომ ყვირილის ხეობა მეტად ვიწროა და მაზე მეორე ლიანდაგის დაგება, გზის გაფართოვება, ბევრ ტეხნიკურ სიძნელეს წარმოადგენს. ამის გამო შესაძლებელია თავის თავად დაიბადოს აზრი მიმართულების შეცვლისა შესახებ.

საყურადღებო ის არის, რომ ამის გამო უკვე დაიწყეს ლაპარაკი. ოფიციალურ „კავკაზ“-ში გუშინ-წინ დაიბეჭდა ბ. პ. ი—ს წერილი, რომელიც ამტკიცებს, რომ საჭირო ახალმა (მეორე) ლიანდაგმა სხვა მიმართულება მიიღოს, ვიდრე აწინდელი მაგისტრალია. ბ. პ. ი. სწერს: „ყვირილის სადგურიდან გზა მარჯვნივ უნდა მიიწიოს, გაჰყვეს იმერეთის ძველ სამხედრო გზას, მივიდეს ქუთაისამდე, ხოლო იქიდან ახალსენაკისაკენ გაემართოს და შეუერთდეს ფოთისაკენ მიმავალ არსებულს ლიანდაგს“. ეს მიმართულებაო, სწერს ავტორი, 15—20 ვერსტით მაინც შეამოკლებს გზას და ბევრი უპირატესობა აქვსო.

ავტორის აზრით, ეს უპირატესობანი შემდეგნი არიან: 1) ამიერ-კავკასიის რკინის

ფელეტონი

მატლი

(ვუძღვნი გალ. შავდიას)

II*)

ამ მატლის სახელი შიმშილია. აგერ ორი თვე იქმნებოდა, რაც მე, შიმშილისაგან დევნილმა, №-ს შევაფარე თავი, რა არის იქნება იქ გამიღიმოს ბედმა მეთქი. დღე ისე არ გასულა, რომ სადმე რამდენიმე სართულიან სახლის კარებზე არ გამეწმინდოს ფეხი და უმორჩილესი თხოვნა არ მიმერთმიოს, მაგრამ ყოველგან ერთი და იგივე პასუხი მესმოდა:

— არ გვჭირიხარ, უშენოდაც ვკმარვართო!

და მეც დავყიალობდი ამ ვეებერთელა ქალაქში ხან აღმა, ხან დაღმა, ხან წინ, ხან უკან, შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე. ბოლოს, მოთმინებიდან გამოსულმა, გადავაფურთხე ყველაფერს, ოთახში დავჯექი და კარში აღარ გამოვდიოდი. გაუჯავრდი რაღა ცხოვრებას!

მე რომ კრიტიკოსი ვყოფილიყავი, ყველაფერს, რაც კი ქვეყანაზე ხდება, შიმშილს დავაბრალებდი. მე ვიტყოდი—ძმობა და ერთობა იმიტომ არ არის, რომ შიმშილი არის მეთქი. ამასთანავე თუ ქართველი კრიტიკოსი არ ვიქნებოდი, ესე იგი, თუ განათლება მექნებოდა, მაშინ იმასაც ვიტყოდი, რომ შიმშილის და მარტო შიმშილის წყალობით მივა ადამიანი იმ დასკვნამდე, რომ ძმობა და ერთობა დაამყაროს მეთქი. ერთი სიტყვით, ავი თუ კარგი, კეთილი თუ ბოროტი—ყველაფერი შიმშილის შედეგია,—აი რას ვიტყოდი მე. მაგრამ უბედურება ის არის, რომ მე კრიტიკოსად არ გაუჩენივარ ღმერთს შიმშილს... ამ ბოლო დროს სულ ამაზე ვფიქრობდი და თუ ვინმესთან ლაპარაკი შემიხვდებოდა—ამაზე ვლაპარაკობდი. მაგრამ დიდი ხნის უნახავი მეგობარი, სანდრო მეწვია თუ არა, მე უცბად ამიჩვილდა გული, მთელი ტბა შეგუბებული ნაღველისა უცბათ მის წინ გადმოვანთხიე და მოტეხილ, სულით დაცემულ ადამიანივით დავიწყე ლაპარაკი, თავი ვერ შევიმაგრე. სანდრო კი სულ სხვა კაცათ მიცნობდა და ჩემი ასე დანახვა ეოცა, გაუკვირდა ასეთი გამოცვლა და ის იყო დაცინვას მიჰყო ხელი.

— შენ, ძმავ, ნუ კი იცინი! —ვუთხარი მე როდესაც მან სიმღერა გაათავა და ოთახში სიარული დაიწყო. —აბა ერთი დაფიქრდი: მინდა ვიშრომო, მინდა თავი ვირჩინო, მინდა მეც კაცებში გავერიო და... და ამის მაგიერ გსრესენ, ტყავს გაძრობენ, ფეხ-ქვეშ გთელავენ. შენ წარმოიდგინე ერთი ეს რა არის, ქუჩაში რომ ვინმემ მხარი გაგკრას, ბოდიშს მოგიხდის, და როდესაც კისერში ფეხებს დაგაბჯენენ, როდესაც უკანასკნელ სახსარს მოგისპობენ, მაშინ კი არავინ არ ცნობს თავს დამნაშავედ. განა ეს დაცინვა არ არის ზრდილობის, ადამიანობის, განა ეს... ეს... მე სისხლი ყელში მომადგა და ველარაფერი გავიკვლიე, რომ მეთქვა.

— და მერე მაგითი გსურს თავი შემაცოდო? ამაებს რომ ხედავ, უნდა იტირო? არა, ვანო, შენ მაგით არა გითქვამს-რა! ეს მართალია აგრეა, მაგრამ...

— მაგრამ?

— მაგრამ ის რომ ტირილითა და ვიშით ისე ვერას გააწყობ, როგორც ჩვენ წარმომადგენლებთან ვერ დაამტკიცებ, რომ ეს გვჭირია და არა ის, რასაც ისინი გვაწოდებენ. მაგის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო, რადგანაც საწინააღმდეგო საგანი ძალას წარმოადგენს და ძალა და გულჩვილობა ხომ ვერ დაუდგება ერთმანეთს?

— კი, მაგრამ როგორ გინდა იბრძოლო მშიერი კუჭით, როდესაც ისე გაქვს გადაფარებული თვალებზე ნისლი, რომ ცხვირის წინ საგანი ვერ გაგირჩევია?

— არაფერია! ეშმაკი არც ისეთია, როგორც გვიხატვენ! თუ კი გსურს, რომ რაიმე გააკეთო, თუ კი გსურს, რომ სიკვდილამდე სიკვდილის გემო არ იწვნიო—კუჭი ცარიელი უნდა გქონდეს. კუჭის სიმაძღრე, აი სად არის ძაღლის თავი ჩამარხული, აი რას უნდა ერიდოს თანამედროვე მებრძოლი. მგელი ორწილ გაბედული და ღონიერი მაშინ არის, როდესაც შია. კუჭი უნდა იყოს ცარიელი, სამაგიეროდ გული, გული უნდა ასაზრდოვო, გული უნდა ერთი ვეებერთელა ქურა იყოს, სადაც ცეცხლი მუდმივ უნდა გუზგუზებდეს, და აი მაშინ დარწმუნებული იყავი, რომ შენი გასროლილი ტყვია მიზანს არ ასცდება, ის ისეთი საიმედოა, როგორც დედის სიყვარული და ისეთი მძლე, როგორც უკვდავება... შენ, რასაკვირველია, გაგიგონია სოფელში: „დაიცა, დაცოლშვილდება და დაჭკვიანდებაო!“ და მერმე იცი რას ნიშნავს ეს „დაჭკვიანება“? ეს არის არც მეტი და არც ნაკლები—სულის სიკვდილი, „დაჭკვიანება“—ეს წელკავია ჩვენი, ეს ისეთი მათრახია, რომელიც სოფლურად რომ ვთქვათ, ღდინს ართმევს, არაქათს ულევს კაცობრიობას. ამ სენის წყალობით არის, რომ ჩვენი ცხოვრება ჯოჯოხეთათ გადაქცეულა. შეგნებული, პატიოსანი ნაწილი კაცობრიობისა მაგის წინააღმდეგ მთელი თავისი ძალით უნდა ამხედრდეს. ისტორია კაცობრიობისა—ეს განუწყვეტელი ბრძოლაა „დაჭკვიანებასთან“. ვის ებრძოდა ვოლტერი, შილლერი, ჰიუგო, დიკკენსი? „დაჭკვიანებას“. ვინ აწამა ბრუნო, გალილეი და სხვები? „დაჭკვიანებულებმა“. ვინ სდევნის დღეს მეცნიერებას, კულტურას, ნათელ აზრს? იგივე „დაჭკვიანებულები“. „დაჭკვიანება“! ამ სიტყვაზე მე თვალწინ მიდგება უსულო ადამიანი, ცოცხალი მიცვალებული, მგლური თვალებითა დ კბილებით, მიდგება თვალწინ გაბატონებული მუცელი და დამონებული სული, ადამიანი, რომელსაც ყოველნაირი კავშირი გაწყვეტილი აქვს თავისუფლებასთან, რომელიც მომკვდარა, როგორც ადამიანი და ცოცხალია, როგორც პირუტყვი! „დაჭკვიანება“—ეს დღესასწაულია ღორის და წესის აგებაა ადამიანის, მე ვერ წარმომიდგენია „დაჭკვიანება“ და ადამიანობა ერთად. დღიდან ადამიანის. გაჩენისა, ეს ორი ელემენტი სამკვდრო-სასიცოცხლო

---

*) დასასრული. იხ. „ცნ. ფურც“. № 1712.

გზის სასარგებლო მოქმედება გავრცელდება მთელს რიონის მდიდარს ხეობაზე; 2) ბათუმისა და ფოთის ამგვარი შეერთება გაუადვილებს ამ ადგილებისა და ახალ-სენაკის რაიონის მცხოვრებთაც ურთიერთ-შორის მიმოსვლას; 3) შეიძლება უფრო მოწესრიგდეს და გაადვილდეს ურთიერთობა-მიმოსვლა ბათუმსა, ფოთსა და ქუთაისს შუა; 4) ფოთისა და ბათუმის ამგვარი შეერთება საჭიროა სამხედრო საქმისათვისაც, რადგან გაადვილდება შავი-ზღვის ნაპირების დ-ცვაც...

ჩვენთვის საჭირო არ არის შევუდგეთ ბ-ნ ი—ს მიერ ნაჩვენების მიმართულების განხილვას, მის დაფასებას,—ჩვენთვის საკმარისი და საყურადღებოა დღეს-დღეობით, რომ ამგვარი საკითხი იბადება და გვინდა ქუთათურების ყურადღება მივაქციოთ ამ გარემოებას. უკეთეს, უფრო მოხერხებულ დროს ისინი ვერ შეარჩევენ: რაკი მთავრობას განზრახვა აქვს მალე განახორციელოს მიხაილოვ-ბათუმის შუა მეორე ლიანდაგის დაგების საქმე, აუცილებლად საჭიროა ვისარგებლოთ ამ შემთხვევით და ვეცადოთ იმ დიდი ხნის სურვილის განხორციელებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქუთაისისათვის, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსათვის.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. „ფიგარო“-ს თანამშრომელს ერთ მცოდნე კაცთან უსაუბრია და შემდეგ ეს საუბარი „ფიგარო“-ში დაუბეჭდია. საუბრიდან ცხადად სჩანს, რომ ზავზე მოლაპარაკება ჰოლანდიისა და ინგლისის მთავრობის შუა მომეტებულ ნაწილად მეფე ედუარდ VII თაოსნობით დაწყებულა. „ფიგარო“-ს კორესპონდენტი სწერს:

ვინც კი მეფეს ახლო დგას, ყველამ კარგად იცის, რომ მეფეს გადაწყვეტილი აქვს მხოლოდ ომის შემდეგ იკურთხოს გვირგვინი. მეფეს სურს, რომ გვირგვინის კურთხევის დროს დიდი დღესასწაული გადაიხადოს. ამიტომ ვერ მოუნელებია ის ფიქრი, რომ სწორედ ამ დღესასწაულის დროს 260 ათასი მისი ქვეშევრდომი სამშობლოს მოწყვეტილი და ნიადაგ შიშ ქვეშ იქნებიან, რომ ამდენ ხალხს ყოველ წამს სიკვდილი ემუქრებოდეთ ჩემბერლენის სადიდებლადაო. ინგლისის ერსაც ძლიერ ესიამოვნება, თუ მომავალი 13 ივნისისათვის ზავი შეიკვრის. მეფემაც იცის ეს ამბავი. ედუარდ VII მაინც ძლიერა ცდილობს, რომ ხალხს თავი შეაყვაროს; ბოლოს დროს ყოველთვის თეატრებში წარმოდგენებს და სახალხო კონცერტებს ესწრება. ამავე დროს თითქმის ყველამ იცის, რომ ედუარდ VII-ს გულითა სურს ლორდ როზბერი პირველ მინისტრად დანიშნოს. მეფე და როზბერი დიდი ხნის მეგობრები არიან და ყველაფერშიაც ენდობიან ერთმანეთს. საქმეში ჩახედული კაცები შემდეგ ამბებს უფარდებენ ერთმანეთს: 1) ჰოლანდიის პირველი მინისტრის დოქტორ კიუპერის ლონდონში მისვლას; 2) ლორდ როზბერის სანდრინჰემის სასახლეში მეფის სანახავად წასვლას; 3) ამის შემდეგ როზბერიმ ჩესტერფილდში ილაპარაკა და პირველმა სთქვა, რომ იმედია, ზავი მალე შეიკვრებაო; 4) რამდენიმე ხნის შემდეგ ბალფურმა პალატაში ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ზავის თაობაზე მოლაპარაკება გაიმართაო. ყველა ამას დაუმატეთ ისიც, რომ მეფეს ჩემბერლენი არ უყვარს და თქვენც მიჰხვდებით, რომ ედუარდ VII ეცდებოდა, რომ ზავზე მოლაპარაკება გამართულიყო. ინგლისში იმედი აქვთ, თუ ეს მოლაპარაკება დაიწყო, უსათუოდ ომიც მალე გათავდებაო.

„ფიგარო“-ს კორესპონდენტი, ცოტა არ იყოს, სცდება. ინგლისში ყველაფერი საქმე ხალხის ხელშია. სანამ თითონ ინგლისის ერი არ ამოიღებს ხმას და ომის გათავებას არ მოითხოვს, საქმეს არა ეშველება რა. ინგლისის ერი კიდევ აჰყოლია იმპერიალისტებს და რისამე დათმობა ფიქრადაც არ მოსდის. ინგლისში იმპერიალისტების ბელადი ჩემბერლენია ნამდვილი მეფე. აკი იმას წინად ირლანდიელ დეპუტატს გ. რედმონდს (ირლანდიელების მეთაურის ჯონ რედმონდის ძმას) კიდეც უთქვა: ბ-ნო ჩემბერლენ, ძლიერ მოგიხდებოდათ მეფის გვირგვინიო!—ჩემბერლენს მიუგო: მადლობელი გახლავარ, მაგრამ მე გუნებაშიაც არ გამივლია მეფის გვირგვინი.— ნა კი რად გინდათ, როცა ისეც მეფე ბრძანდებით, მხოლოდ გვირგვინი და გაკლიათ,— უპასუხნა გ. რედმონდს. სანამ ჩემბერლენი და იმპერიალისტები გონს არ მოვლენ და მორიგებას არ მოისურვებენ, სამხრეთ-აფრიკის ომსაც ბოლო არ მოეღება.

✡ „დეილი მაილ“-ი სწერს: ძლიერ საწყენი იყო ის ამბები, რაც ცხენების სყიდვის დროს მომხდარა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ რა არის. როცა მთავრობა, დაპირებისამებრ, ამ საქმეზე გამოძიებას მოახდენს, ინგლისის საზოგადოება მაშინ უფრო სამარცხვინო ამბებსაც გაიგებსო.

საფრანგეთი. დეპუტატთა პალატამ განიხილა პროექტი იმის თაობაზე, რომ მაღნებში სამუშაო დღე შემცირდეს. დეპუტატმა ეინარმა ამ პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა: სამუშაო დღის სიდიდის კანონით განსაზღვრა შეუძლებელიაო, რადგანაც სამუშაო დღის სიდიდე მუშებმა და საქმის პატრონებმა ერთმანეთის ნებაყოფლობით უნდა დანიშნონ. დეპუტატები ჰიუისი რადიკალი) და ბასლი (სოციალისტი) კომისიის პროექტს მიემხრნენ. ამის შემდეგ კამათი შესწყვიტეს და პალატამ 338 ხმის უმეტესობით, 219 ხმის წინააღმდეგ პროექტის პირველი მუხლი მიიღო. ამ მუხლის ძალით მაღნებში ეხლავე 9 საათის სამუშაო დღე დაწესდება. შემდეგ პალატამ პროექტის მეორე მუხლიც დაამტკიცა. ამ მუხლის თანახმად ორი წლის შემდეგ მაღნებში $8^1/_2$ საათის სამუშაო დღე უნდა დაწესდეს და მერე კიდევ ორი წლის შემდეგ—8 საათის სამუშაო დღე დაწესდეს. ბოლოს პალატამ მთელი კანონ-პროექტიც დაამტკიცა.

იტალია. გაზეთებს შეუტყვიათ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ჯიოლიტი მოკლე დროში ახალ კანონ-პროექტს წარუდგენს პარლამენტსაო. ამ კანონ-პროექტის ძალით, რაც ქალაქებს საქმეები აქვთ, ზოგიერთი ამათგანი თითონ ქალაქთა მმართველობის ხელში უნდა გადავიდეს. ქალაქების ხელში შემდეგი საქმეები გადავა: წყლის მიღებისა და შადრევნების გამართვა; დასალევი წყლის განაწილება; სახლებიდან უწმინდურების გატანა; მთელი ქალაქისა და კერძო სახლების განათების გამართვა და წარმოება; კანალიზაციის მოწყობა და რაც კი ნაგავი და უწმინდურება მამულების გასაპატივებლად გამოდგება, იმის გამოყენება; ყველა მიცვალებულის დასაფლავება, მუქთად იყოს, თუ ფასად: ქალაქის ხელში იქნება; აბანოებისა, საბანებლებისა და ყასაბხანების გამართვა და წარმოებ; გამართვა და წარმოება სანიმუშო მეპურის დუქნებისა იმ აზრით, რომ მოვაჭრეებმა პურის ფასი არ აწიონ; რაც კი ქალაქის აკვილზე ომნიბუსი, ტრამვაი ან სხვა რაიმე ხალხის წამყვან-წამომყვანი მანქანა გაიმართება, ყველა ეს ქალაქებმა თითონ უნდა გამართონ და თითონვე აწარმოვონ. ელექტრონული და წყლის ძალის წარმოება და განაწილება და ამ საქმისათვის საჭირო ქარხნების გამართვა; ღამის-სათევ სახლების აშენება; ხეხილისა, ყურძნის ვაზისა და სხვა ხეების სანერგეების გამართვა და ნერგებისა, რქისა, ნამყენებისა და სხვ. გაყიდვა.

შეერთებული შტატები. ფრანგ. გაზეთ „პატრი“-ს სწერენ ნიუ-იორკიდან: აქ კომიტეტი დაარსეს, რომ პრუსიის პრინცი ჰენრიხის დახვედრა კარგად მოაწყოს. კომიტეტმა ნიუ-იორკის საბჭოს 250,000 ფრანკი სთხოვა ხარჯად. ქალაქის მმართველობამ უარი გამოუცხადა კომიტეტს, რადგანაც კომიტეტმა საბჭოს ხმოსნები არ მიიწვია იმ დღესასწაულებზე, პრინცის პატივსაცემლად რომ გაიმართებაო.

✡ შეერთებული შტატის მთავრობა ძლიერ ცდილობს, რომ ანარქისტების აგიტაცია მოსპოს.

გერმანია. ვერაფერი ბედი დაუდგა ახალ სადამოჟნო პროექტს. ამის მთავრობა აქაც შერცხვეს. წინად თუ მარტო ოპოზიცია ეწინააღმდეგებოდა, ეხლა თითონ მებატონეებსაც გამოულაშქრიათ კანონ-პროექტის წინააღმდეგ. ოპოზიცია უჩივის მთავრობას, რომ ამ კანონ-პროექტით მთელი გერმანიის ერი მებატონეებს ანაცვალეთო, მებატონეები კიდე ძლიერ ცოტავობენ ახალ ბაჟებს და კიდევ მომატებას თხოულობენ: თუ უმატებთ, ბარემ რიგზე მოუმატეთ, თორემ ეგ რა არის, კბილის ქარად არ გვეყოფაო; თუ იყოს, იყოს, თუ არა და სულაც არ გვინდა თქვენი ბაჟებიო. მთავრობამაც აღარ იცის, რა ქნას. ამბობენ, იქნება სულაც გადასდოს თავისი კანონ-პროექტი და რეიხსტაგს აღარ წარუდგინოს განსახილველადაო.

ეხლა, როგორც იცით, ამ კანონ-პროექტს რეიხსტაგის კომისია იხილავს. დიდი არეულობაა თურმე ამ კომისიაში. ნამდვილად დომხალივით არეულა ამ კომისიის საქმე. თავისუფალ მოაზრეთა და სოციალ-დემოკრატების გაზეთები გესლიანად დასცინიან ამ არეულ-დარეულ კომისიას. ეს გაზეთები სწერენ:

„ყველაფერი აირ-დაირია. ამ კომისიაში მინისტრები ოპოზიციის დეპუტატებს ემხრობიან და მებატონეების და კლერიკალების უმეტესობას ებრძვიან. თუ უმეტესობა ამას იქითაც ასე მოიქცა, არა გვგონია კომისიამ კანონ-პროექტი ზაფხულამდე განიხილოს. ამისთანა კომისია ჯერ არც თქმულა და არც გაგონილა: მებატონეებისა და კლერიკალების უმეტესობა ისე გულ-მოდგინედ იბრძვის მთავრობის კანონ-პროექტის წინააღმდეგ, ისე მკაცრად ჰკიცხავს, იმდენი წინადადება შეაქვს პროექტის გასასწორებლად, რომ ღმერთმა შეარცხვინოს თვით მშვენივრად მოწყობილი ობსტრუქცია. მემარცხენეები გულითა ნდომობენ, რომ კამათი მალე დაიწყონ, მემარჯვენენი კი აბრკოლებენ და აგვიანებენ ამ კამათს“.

✡ მთავრობა ეცადა, რომ თავისი ოფიციალური გაზეთის „ნორდ. ალგ. ცაიტ.“-ის შემწეობით გონს მოეყვანა მებატონეები. ამ გაზეთმა ურჩია მებატონეებს, წრეს ნუ გადადიხართ, საქმეს ნუ გაუჭირებთ მთავრობასაო. ამის თაობაზე „ტაიმს“-ის ბერლინელი კორესპონდენტი სწერს:

„ეხლა კი დარწმუნდა მთავრობა, რომ ძლიერ შესცდა, როცა მებატონეებს აჰყვა და იმათ გულის მოსაგებად სადამოჟნო პროექტი წარუდგინა რეიხსტაგს. მებატონეებმა დიდი ძალა დაატანეს მთავრობას, თორემ კანცლერმა ან სხვა მინისტრებმა განა წინადვე არ იცოდნენ, რომ ამ კანონ-პროექტის დამტკიცება ძლიერ დაბრკოლდებოდა. პროექტში სულ 960 მუხლია და მერე სულ ისეთი მუხლებია, რომ ყოველი მუხლის თაობაზე უსათუოდ დიდი კამათი ასტყდება რეიხსტაგში. ამ კანონ-პროექტსაც ის ბედი მოელის, რაც არხის კანონ-პროექტს ეწვია, პრუსიის სეიმში რომ დაამხეს. ამბობენ, მთავრობას ობსტრუქციისა შეეშინდა და ამ კანონ-პროექტს პარლამენტს აღარ წარუდგენს განსახილველადაო.

ახალი ამბავი

➛ ტეხნიკოსთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ, ბ-ნმა მინიაევმა, მიიღო მის იმპერატორებითი უმაღლესობის დიდის მთავრის **მიხეილ ნიკოლოზის-ძისა** მისაგან შემდეგი საპასუხო დეპეშა: „გთხოვთ გარდასცეთ ჩემი გულწრფელი მადლობა ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეებს; მიხარის საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების დაარსება; სულით და გულით ვისურვებ მის წარმატებასა და აღყვავებას. **მიხეილ**“.

ბრძოლაშია და აი ეს ბრძოლა არის წითელი ზონარი ისტორიისა, ამ ზონარზეა აკინძული ყველა ფაქტები ადამიანის წარსულისა... მე აკი გითხარი—მებრძოლს კუჭი ცარიელი უნდა ჰქონდეს მეთქი და აბა ერთი მიბრძანე, სად ნახე შენ რომ „დაჭკვიანებულ“ კაცს კუჭი ქონდა ცარიელი. კაცის დაჩუმება რომ უნდათ, იმას სადილით პატიჟობენ. ეს არის უმაღლესი ფილოსოფია „დაჭკვიანებულთა“ ზნეობრივი შეხედულებისა... და ბედნიერია ის კაცი, რომელიც ისე მომკვდარა, რომ არ „დაჭკვიანებულა“. თუ ინატროს კაცმა, ასეთი სიკვდილი უნდა ინატროს!..

თვალებში ცეცხლ ანთებული სანდრო წინასწარმეტყველსა ჰგავდა. მე მეხარბებოდა ეს გატაცებული ლაპარაკი და მის ლამაზ სახეს თვალს ვერ ვაშორებდი. დიდი ხანი იყო არაფერი ასეთი არ გამეგონა. თანაც ვფიქრობდი. რას? აი ჩემ წინ გადაიშალა სოფელი, სადაც მე იძულებით მიკრეს თავი. მთელი სოფელი მე მტრულათ მიცქეროდა. ის ჩემში ხედავდა ერთ დაკარგულ ადამიანს, რომელსაც არც სახლი უნდა, არც კარი, არც დედა, არც მამა და ერთმა ოხუნჯმა სოფლის მასწავლებელმა „უცენზურო ადამიანიც“ კი მიწოდა, რამაც დიდი ხარხარი გამოიწვია მის ამხანაგებში. ამას შემდეგ ნამდვილი სახელის მაგიერ მე „უცენზურო ადამიანს“ მეძახდნენ. ალბათ, ვერ ხედავდა ჩემში „დაჭკვიანებულს“ ბატონი მასწავლებელი და მასთან ერთად მთელი სოფელიც... მე უნებურათ გამეცინა და წამოვდექი, წოლა ველარ შევიძელი. ამხანაგის ამტაცმა სიტყვებმა თავისი გავლენა იქონიეს და მე ვგრძნობდი, რომ ჩემს ძარღვებში იმატა სისხლის დენამ, რალაც ძალამ გამწია წინ, ცხოვრების უსაზღვრო და უძირო სივრცისაკენ, მე დამებადა ძლიერი წყურვილი მის ტალღებს გადავრეოდი მაგარი მხარულით და ძლიერ ტალღებთან ბრძოლა გამეწია...

„მართლაც და რა უნდა იყოს ტანჯვა? —ვფიქრობდი მე—განა მაგან უნდა გაუტეხოს ადამიანს გული? განა მარტო მე ვიწვი ამ ტაფაში, განა ჩემ გარეშემო იგივე არ ხდება? მაშ რაღა არის ეს ქალაქი თავისი გაუვალი სიმდიდრითა და შვებით ერთი კიდრით და და აუტანელი სიღარიბითა და წვალებით მეორე მხრით? განა ეს მეორე მხარე ქალაქისა გამრავლებული „მე“ არ ვარ? განა ეყოლება კი იმდენი მეგობარი ვისმეს, რამდენიც მე მყავს ამ ყოფაში? ისინი ხომ ცოცხლობენ, მღერიან კიდეც და ამ სიმღერაში ამტკიცებენ, რომ რაღაცას ან ვიღაცას ელიან... ვინ იცის, იქნება გამოუჩნდეს იმათაც თავიანთი მოსე წინასწარმეტყველი და თავისი სასწაულთ მომქმედი კვერთხით გაუპოს იმათ ზღვა მეწამული... მაშ რას ვდარდობ?“

—მაშ მოთმინება და იმედი—არა, სანდრო? ხომ ასე ამბობ? დავეკითხე მე.

—ჰმ, მოთმინება, მოთმინება! ყოველთვის და ყოველგან ეს წყეული მოთმინება! ეს ხომ იგივე „დაჭკვიანება“ იქნებოდა! მოთმინება—აი ის წყეული ჯაჭვი ამირანისა, რომლიდამაც არ იქნა და არა, ვერ გაითავისუფლა თავი ამ უებრო გმირმა. მოთმინები—ეს თითქოს ჩაქუჩია, რომელმაც უნდა ამსხვრიოს ადამიანის სურვილიცა და მისწრაფებაც! აი იმ წყეული „დაჭკვიანების“ მკვიდრი შვილი—მოთმინება! არა, ძმავ, მოთმინებით ჩვენ ვერ დავიმკვიდრებთ ქვეყანას, ეს დრო-მოჭმული მცნებაა, რომელიც სამუდამოთ უნდა ამოიშალოს თავიდამ. მოთმინება და იმედი კი არა, სანდრო, ბრძოლა და იმედი—აი რა უნდა გეთქვა შენ!

მე მტერი ვარ ყოველნაირი ლამაზი სიტყვის. ლამაზი სიტყვა—ეს იგივე ლამაზი ქალია, რომელიც მარტოთ მარტო თავისი სილამაზით ამაყობს. და როდესაც სილამაზეს სილამაზე გამოჰყავს დამცველ-ფარად, იქ, იმ ადგილას ეთხრება მას სამარე. ლამაზ სიტყვებს ამბობდა ჩემი მეგობარიც, მაგრამ მე ვიცოდი, რომ ამას ლამაზივე გული იძლეოდა. ეს არ გავლა იმ ლამაზი სიტყვების ქურქლებს, რომლებსაც მე ბლომათ ვიცნობ. გამოძვრებიან ეს ბატონები, ამბობენ ლამაზ სიტყვებს, ზრდილობიანი რევერანსით დაგვიკრავენ თავს და მიდიან. სად მიდიან. სად?—ეკითხები შენ თავს, რა უნდოდათ, რათ იწუხებდნენ თავს, რათ ხარჯავდნენ ამ სიტყვებს, ან სად დაიკარგენ მერმე? და აი ეს ურიცხვი ნაცნობები შენ წინ შეჯგუფდებიან უცბათ, მაგრამ ჯერ რაღაც გამოურკვეველი სახით, შემდეგ ნელნელა ირკვევა მათი სახე, აკვირდები იმათ და ნაცნობების მაგიერ თვალ-წინ გიდგება ერთი ვეებერთელა ციფრი—მილიონი რიცხვი. ეს წყეული რიცხვი—ოცი—ნთქავს ამოდენა ლამაზ სიტყვებს ისე, როგორც ლამაზ ქალებს ნთქავს ხოლმე სხვა-და-სხვა მოდები და ტკბილეულობა... მე ჩამესმა ყურში ჩემი მეგობრის ახირებული ტერმინი „დაჭკვიანება“ და გამეცინა.

— „დაჭკვიანება“ ეს ლამაზი სიტყვების ევოლიუცია, მილიონ რიცხვის თაყვანისცემაა, კაცო, ხომ? უთხარი მე და გადავიხარხარე.

— და მილიონ რიცხვის თაყვანის-ცემა კი უარ ყოფაა ბრძოლისა!—დაუმატა მან და გაჩუმდა. მეც გავჩუმდი. ხოლო არ იყო გაჩუმებული მარტო ბუნება. შხაპუნა წვიმა ისევ სისინით სცემდა ჩემი ფანჯრის მინებს, ფოთლები ისევ ისე უმიზნოთ დაძრწოდნენ ჰაერში, ცა ისევ ისე მოღრუბლული იყო და ცივი, მოწყენილი შემოდგომა ისევ ისე დაღვრემილი და შუბლ შეკრული შემოიყურებოდა ჩემს პატარა ოთახში... მე კი ვფიქრობდი და ამ ფიქრში მაგონდებოდა ძველი ზღაპარი, როდესაც ერთ მგზავრს ორ კაპი—გზა დახვდა წინ, სადაც წარწერა ამბობდა—წახვალ, ინანებ და არ წახვალ, მაინც ინანებო. სანდროს გიტარისათვის წამოევლო ხელი და ჩემს საყვარელ „სამგლოვიარო მარშს“ უკრავდა... მხოლოდ მატლი კი, ჩემი სიმბოლიური მატლი მაინც თავისას არ იშლიდა... მიუხედავად იმისა, რომ სანდრომ მისი მჭევრმეტყველება ამ მატლის ქება-დიდებას შესწირა...

სპირიდონ მცირიშვილი.

✦ 15 თებერვლიდან ტფილისის გუბერნიაში მოქმედებას იწყებს საფაბრიკო ინსპექციის **ახალი განაწესი**. ამის გამო უფროსი საფაბრიკო ინსპექტორი ბ. ხმელინსკი ამ ჟამად ამზადებს პირველ დაწყებით სამუშაოს საფაბრიკო ინსპექციის შემოღებისათვის.

✦ ამ თვეში ტფილისში გაიხსნება საგუბერნიო **საფაბრიკო-საქარხნო საკრებულო**. ამ საკრებულოს თავმჯდომარედ იქნება ტფილისის გუბერნატორი, ხოლო წევრებად—ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი და ორიც მრეწველთა წარმომადგენელი.

✦ გუშინ, 31 იანვარს, უგანათ. თავ. **გრიგოლ დადიანის** გარდაცვალების მეორმოცე დღეს, არქიმანდრიტმა დოსითეოსმა, სხვა სამღვდელოებასთან ერთად, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდაიხადა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ნათესავნი და პატივის-მცემელნი.

✦ გუშინ, 31 იანვარს, ბაქოს მატარებლით ტფილისში ჩამოვიდა **შინაგან საქმეთა მინისტრის სიპიაგინის მეუღლე**.

✦ ხვალ, 2 თებერვალს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში დანიშნულია **რუსეთიდან გადმოსახლებულთა** დამხმარებელ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

✦ ტფილისის სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტმა ვერაფერი ვერ უპასუხა ქალაქის თვით-მმართველობას იმის შესახებ, რომ რა ჯურის **სამრეწველო სასწავლებელია** უფრო სასურველი, რომ ქალაქში დაარსდეს. შეკრებილის ცნობებით, რა სახით სწარმოებს ტფილისში სავაჭრო საქმე ან რა ხასიათისაა ვაჭრობა, კომიტეტმა ამის მიხედვით ვერ დაადგინა, რა ჯურის სამრეწველო სასწავლებელია ტფილისისათვის საჭირო.

✦ ბაქოდან დეპეშით გვატყობინებენ‘ რომ გუშინ, 31 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე **მიწა იძრა**, რომელმაც გასტანა წამნახევარს. შეშინებულმა ხალხმა მიატოვა მაღაზიები, სახლები და ქუჩაში გამოცვივდნენ. ჯერ არ ვიცით დაზიანდა თუ არა სახლები. მცხოვრებნი ძლიერ შეშინებულნი არიან.

✦ გუშინ, 31 იანვარს, ნაშუადღევის მეორე საათზე ტფილისში **მიწა იძრა**.

✦ ტფილისში ახლად დაარსებულმა **ტეხნიკოსთა** საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების გამგეობამ თავის სადგომ-ბინად დაიქირავა მიხეილის ქუჩაზე, მეიერის სახლი (№ 153). საზოგადოებას ძირითად თანხად ამ ჟამად აქვს 1000 მანეთზე მეტი.

✦ 30 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში მოხდა ქალაქის გამგეობისა, განსაკუთრებულის კომისიისა და ტეხნიკოს ხმოსანთა შეერთებული სხდომა, რომელზედაც უნდა განეხილათ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შესაძლებელია შეაკეთონ განსვენებულის ნ. ე. ზუბალაშვილის მიერ ნაანდერძევი სახლი, რათა მოათავსონ შიგ **დაუდგომელთათვის თავ-შესაფარი** და აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქმნას გაგებული ანდერძში ნახმარი სიტყვა „приспособить“. სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობამ აღნიშნულ სიტყვის შესახებ განმარტა, რომ ეს სიტყვა ასე უნდა იგულისხმოსო: თუ ეხლანდელი შენობა არ ივარგებს აღნიშნულ მიზნისათვის, მაშინ იგი უნდა დაინგრეს და მის ნაცვლად აშენდეს ახალი. ამასთანავე უმრავლესობამ ის აზრი გამოსთქვა, რომ ყოვლად შეუძლებელია ეხლანდელ შენობის შეკეთება და მის ნაცვლად ახალი უნდა აშენდესო, ხოლო რადგანაც საქმეში სხვაც არის დაინტერესებული, სახელდობრ ტფილისის კათოლიკეთა ეკლესიის ძმობა, სხდომამ გარდასწყვიტა—ხელმეორედ დათვალიერებულ იქმნეს აღნიშნული შენობა ტფილისის გუბერნიის სამმართველოს ტეხნიკოსებთან და საგუბერნიო ექიმთან ერთად.

✦ როგორც იყო, ქალაქი ძლივს **მოურიგდა** ღარიბთა ღამის თავშესაფარი სახლის პატრონს მელიქოვს სახლის ქირაობაზე. მელინოვმა ქალაქს დაუთმო სახლი სამის წლით, წელიწადში 1,100 მანეთად. მადლობა ღმერთს, ღარიბი კაცი ღამე ქუჩაში არ გაიყინება. ახლა მეორე სახლზე არის მივარდნილი ჯერი და, თუ ისიც გამოუტანეს საწყალ ხალხს თავშესაფარად, სწორედ მადლობის ღირსნი იქნებიან ქალაქის „მამები“.

✦ დღეს, 1 თებერვალს, ტფილისის სასამართლო პალატა განიხილავს საქმეს შორაპნის მაზრის უფროსის თანაშემწედ ნამყოფის ესპერ კოკუშკინისას, რომელსაც სამსახურის დროს სხვა-და-სხვა **ბოროტ-მოქმედების ჩადენა** ბრალდება.

✦ მთავარ სატუსაღო სამმართველომ ცირკულიარით წინადადება მისცა გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს კავკასიაში, აუწყონ მას ცნობები, რამდენი სულით ავადმყოფი ყოფილა ამ ბოლოს დროს **ტუსაღთა შორის** და რაგვარი ღონისძიება მიუღიათ იმათ მოსარჩენად და ეხლა რა მდგომარეობაში არიან ავადმყოფნი. ეს ცნობები მთავარ სამმართველოს იმისთვის უნდა, რომ აღძრას კითხვა სულით-ავადმყოფ ტუსაღებისთვის საავადმყოფოს დაწესებაზე.

✦ დღეს, პირველ თებერვალს, ქალაქის საბჭოს დარბაზში სხდომა აქვს ტეხნიკურ საზოგადოებას. სხდომა განიხილავს ბ. მაევსკის მოხსენებას **მეტანის მინდვრის მორწყვის** შესახებ.

✦ რუსეთის ტეხნიკურ საზოგადოების ტფილისის განყოფილებამ **გადასდო 2,600 მან.** ტფილისის მიხეილის რკინის გზის სასწავლებლის დასახმარებლად.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზებზედ გამოიცა ცირკულიარი, რომლითაც ლოკომოტივის ბრიგადას მანევრებისა და სამუშაო მატარებლების მუშაობის დროს უნდა ეძლიოთ **სამუშაო ფული საათობით** გამოანგარიშებული და არა დღიურად, როგორც წინად იყო.

✦ კავკასიის სამედიცინო სამმართველოს სამოქალაქო ნაწილში აღძრულა კითხვა, რომ ფერშლებს, რომელთაც თვიური ჯამაგირი აქვთ 16 მანეთი, **მოუმატოთ** ჯამაგირი ქალაქის ხარჯით, რამდენიც სხვა ფერშლებსა აქვთ ქალაქში.

✦ ოფიციალურის ცნობებით, ბორჩალოს მაზრის ზოგიერთ სოფლებში მოდებულია **ქუნთრუშა**.

✦ ოთხშაბათს, 30 იანვარს, ქართველ თავად-აზნაურთა თეატრში გაიმართა სომხური წარმოდგენა დამსახურებულ არტისტი-ქალის ქ-ნ ზაბელას სასარგებლოდ. ითამაშეს გ. მარტიროსიანის მიერ ახლად გადმოკეთებული დრამა „ისრაელის ასული“. ესთერის როლს ლამაზად ასრულებდა ქ-ნი ზაბელა; დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა. მე-5 მოქმედებაში მშვენივრად იგალობა ბ. ვასტანგიანის ხორომ. არ ვიცით, რა მიზეზისა გამო გამოცხადებული ვოდევილი არ ითამაშეს. თეატრი სავსე იყო.

ამ დღეებში აპირობენ განსვენებულის დავით ტერ-დავითიანის ობლების სასარგებლოდ გამართონ წარმოდგენა და ითამაშონ მისგანვე ქართულიდან ნათარგმნი გ. გუნიას „და-ძმა“,

✦ ტფილისის მე-6 საპოლიციო უბანში მეჩეთის ქუჩაზე შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა: სპარსეთის ქვეშევრდომის, მამედ-აბდულ-აბას-ოღლის სახელოსნოში 30 იანვარს ღამე გაუთევია ვიღაც არშაკს (გვარი არ იციან). მეორე დილას, როცა გარეშენი სახელოსნოში შესულან, უნახავთ ყელ-გამოჭრილი მაჭმედ აბას-ოღლი მიწაზე დაგდებული და სისხლში ამოსვრილი. რადგანაც ხსენებული არშაკი სადღაც მიიმალა, პოლიციას ეჭვი აქვს, ის უნდა იყოს სპარსელის მკვლელიო.

✦ ტფილისის მე-3 საპოლიციო ნაწილში, 30 იანვარს, ივანე ივანეს ძე კოლენოვმა, სიმთვრალის დროს, დანით დაიჭრა თავისი თავი. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ 29 იანვარს, კამეჩების დასაბანად მტკვარში ჩასულა ტფილისის მაზრის, სოფელ ნორიოს, მცხოვრები ლევან გიორგის ძე კარმიძე, რომელიც წყალს ღრმა ადგილში გადუთრევია და დაუხრჩვია. დამხრჩვალის გვამი ჯერ ვერ უნახავთ.

✦ ოთხშაბათს, 30 იანვარს, ოლგას ქუჩაზე ფორაქოვის სახლის შესავალთან, პოლიციელს უნახავს ერთის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი მდედრობითი სქესისა, რომელიც ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

✦ ამავე დღეს პოლიციელმა ნახა საბებიო ინსტიტუტის შესავალ კარებთან მიგდებული 2 კვირის დაბადებული ბავშვი, მამრობითი სქესისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

✦ სადგურ მიხაილოვიდან გვატყობინებენ: 29 იანვარს უფროსმა მუშამ ლორთქიფანიძემ შენიშნა, რომ წყლის საქაჩავის დარაჯის გრიგოლ ბლიაძის სადგომი დაკეტილია; კარების კაკუნზე შიგნიდან ხმა არავინ მოსცა. მაშინ ლორთქიფანიძემ ჟანდარმი მოიწვია და კარების კლიტე გატეხეს როდესაც ოთახში შევიდნენ, დაინახეს გაციებული გვამი მუშის გრიგოლ ბლიაძისა. ექიმის გამოკვლევით, საბრალო ბლიაძე ნახშირის სუნს დაუხრჩვია.

პრესსა

„ვესტნიკ ევროპ“-ის იანვრის ნომერში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი რუსეთის სასულიერო სასწავლებლების შესახებ. ავტორი ამტკიცებს, რომ სასულიერო სკოლის ახლანდელი პროგრამა და მთელი ორგანიზაცია მეტად დაშორებულია თანამედროვე ცხოვრებისაგან და ამიტომ აუცილებლად საჭიროა ამ სასწავლებელთა რეფორმაო. ეს რეფორმა უნდა შეეხოს არა მარტო პროგრამასა და აღზრდის საქმეს, არამედ ხსენებულ სკოლის საერთო მდგომარეობასაცაო. პატივცემული ჟურნალი სამართლიანად სწერს:

> მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება შეიცვალა და ახალი პირობები დაიბადა, სასულიერო სკოლა-სასწავლებელის მდგომარეობა და ორგანიზაცია ძველი დარჩა და სრულიად არ შეეფერება თანამედროვე ცხოვრებას. სასულიერო სასწავლებელთა სპეციალური დანიშნულება სრულიად არ ეწინააღმდეგება გონიერ პედაგოგიის პრინციპებსა და არც იმ მოთხოვნას, რომ განათლებულმა სასულიერო პირმა რიგიანად იცოდეს საერო მეცნიერება. არ შეიძლება აგრეთვე რაიმე ღონისძიებათა საშუალებით სასულიერო სკოლა სრულიად მოვწყვიტოთ ცხოვრებას და ეს საჭიროც არ არის... ხოლო ის გარემოება, რომ ახლანდელ სასულიერო სკოლაში არსებული პროგრამა და წესი უვარგისია და რეფორმას საჭიროებს, ყველასათვის აშკარაა და თვით ამ სკოლა-სასწავლებელთა გამგენიც არ უარ-ჰყოფენ მას; ხსენებულ სკოლების სისტემის უვარგისობა მტკიცდება მრავალ ფაქტებით, რომელთაგან ბევრი ჟურნალ-გაზეთებშიაც იყო გამომჟღავნებული.
>
> აუცილებლად საჭიროა რეფორმა სასულიერო უწყების სკოლებისა იმ გზითა და მიმართულებით, როგორც ეს ხდება ამ ჟამად საერო სკოლაში, მხოლოდ სახეში უნდა იქონიონ, რასაკვირველია, ამ სკოლის სპეციალური დანიშნულება.

რუსეთის ქრონიკა

∝ სამხედრო სასწავლებლების უმთავრეს სამმართველოში ამ ჟამად იკვლევენ სამხედრო სასწავლებლების ახალი პროგრამების პროექტს. რადგანაც ახალ პროექტს არსებითი ცვლილება შეაქვს სამხედრო ყმაწვილკაცების სწავლის საქმეში, ამიტომ განსაკუთრებულმა საბჭომ სასურველად სცნო, რომ რამდენიმე წლით, საცდელად, ახალი პროგრამები მხოლოდ ზოგიერთ სასწავლებელში შემოიღონ.

∝ პეტერბურგში ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას ახალი სააქციონერო ამხანაგობა, რომლის საგანია საზღვარ-გარედ ზიდოს რუსეთის საოჯახო მრეწველობის ნაწარმოები. წესდების თანხმად, რომელიც დასამტკიცებლად არის წარდგენილი, ამ[illegible]გობის ძირითად თანხას შეადგენს 500,0[illegible] მანეთი. ეს თანხა გაიყოფება 2,000 პაიბად. ამხანაგობა არსდება რუსეთის მრეწველობის და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოების ზოგიერთი წევრების მეთაურობით და აზრადა აქვს პირველად გახსნას განყოფილებანი ლონდონში, პარიზში, ვენაში, ბერლინში და მარსელში, ხოლო ევროპის დანარჩენ დიდ ქალაქებში იყოლიოს თავისი აგენტები.

∝ ნერჩინის ოლქში (აღმოსავლეთ ციმბირი) აღმოუჩენიათ დიდებული ოქროს მადანი. გამოკვლევით 100,000 ფუთს კოლჩედანში 150 ფუთი ოქროა. მადანი დიდ ხანს არ გამოილევა. მადნის პატრონს, ბელგიის სამთო ინჟენერს, 350,000 მან. აძლევენ, მაგრამ ის მილიონს თხოულობს.

∝ პარასკევს, პირველ თებერვალს, მოსკოვის უნივერსიტეტის სამმართველოს დარბაზში დანიშნულია რუსეთის ბიბლიოგრაფიულ საზოგადოების საზოგადო კრება, რათა მოხსენდეს მას დამტკიცებული წესდება რუსეთის პერიოდულ გამოცემათა 200 წლის არსებობის დღესასწაულისა. გადაწყვეტილია, რომ საიუბილეო კომიტეტის წევრთაგან შესდგეს ორი დამოუკიდებელი სექცია; ერთმა უნდა გამართოს ბეჭდვითი საქმის გამოფენა და მეორემ უნდა შეიმუშაოს კითხვა ბეჭდვითი სიტყვის დავრდომილ მოღვაწეთა თავშესაფარის დაარსების შესახებ.

დაბა-სოფლები

უჯადრები (სვანეთი). 1898 წელს ბ. ე. მამინაიშვილის მეცადინეობით და შუამდგომლობით „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ დაარსა ქვემო სვანეთში [illegible] სამრევლო სკოლა, სახელდობრ, სოფ. ჩოლურში. მართალია, პირველ წლებში სკოლის საქმე წინ ვერ მიდიოდა, მაგრამ ეს მეორე წელიწადია, რაც ეს სკოლა მასწავლებელმა ბ. დ. ჩხაიძემ, დაუღალავის შრომითა და მაცადინეობით, თვალსაჩინოდ წასწია წინ და სამაგალითოდ გახადა. ყოველივე ეს მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ ამ სკოლის წყალობით მოსალოდნელი იყო—ცოტა ნათელი მაინც მოჰფენოდა ისეთს დაბეჩავებულსა და ხავს-მოკიდებულს მხარეს, როგორიც არის სვანეთი...

მაგრამ აქაც შეფერხება! ამა მიმდინარე იანვრის 19-ს, შუაღამისას, შეუბრალებელმა ცეცხლმა ნაცრად აქცია ეს სკოლა. დაიწვა ყოველივე, რაც სკოლაში იყო და რაც რამ ებადა თვით მასწავლებელს. ცეცხლი გარედან არის გაჩენილი. მართალია, მცხოვრებლები ახლოს არიან, მაგრამ იმ დროს გაიგეს, როცა სკოლა ირგვლივ ალში იყო, ასე რომ ყოველივე მაცადინეობამ ფუჭად ჩაიარა.

იმედია, „ქრისტ. აღმადგ. საზოგადოება“ არ ჩააქრობს სვანების გულში ახლად აღგზნებულს სურვილს სწავლისადმი და, ამ ეკონომიურად დაბეჩავებულს ხალხს, კვლავად აღმოუჩენს ნივთიერ შემწეობას სკოლისთვის ახალი შენობის აგების საქმეში.

—

რუისი (გორის მაზრა). 24 იანვარს სოფ. რუისში შემდეგი საზარელი ამბავი მოხდა: ერთი მკითხავი მებადისშვილის ქალი, რომელიც ჭკუაზე შეცდა ამ შემოდგომაზე და წმინდანათ მიღებულ იქმნა მეზობლებისაგან, დაპატიმრებულ იქმნა შემდეგის მიზეზისა გამო. მკითხავს შესანიშნავის ექიმის სახელი გაუვარდა და ბევრი იწვევდა თავიანთ ავადმყოფების მოსარჩენად. აღნიშნულს დღე იგი მიიწვია ერთმა გლეხმა, რომელსაც ქალი ჰყოლია დამბლად დაცემული. მკითხავს შემდეგ წამლობისათვის მიუმართავს: დაუწვენია ავადმყოფი, უკანასკნელის დედ-მამას კი ქალის ხელ-ფეხი დაუკავებიათ, რომ არ განძრეულიყო; მერე მკითხავს ხანჯალი ამოუღია და ჯერ პირტულივ უცემია,—ეშმაკებით არის ავად და ამ ცემით უნდა მოვაგროვო ერთ ალაგასო. როცა სისხლი შეგუბულა ნაცემ ადგილებში და გაშავებულა, მაშინ მკითხავს სერვა დაუწყია, აქედან გამოვდენ ეშმაკებიო; ზოგან ხორციც ამოუჭრია. მკლავებზე როდინის ქვა უცემია,—ეშმაკები ცემით უნდა მოვკლა და ისე გამოვყარო ამოჭრილ ადგილებიდანაო. ბოლოს ხანჯალი წვერით გვერდში დაუკრავს. საწყალ ავადმყოფს ბევრი უყვირია; მეზობლებს გაუგონიათ და საჩქაროდ მამასახლისისათვის გამოუცხადებიათ; მაგრამ მამასახლისი პატრონებს შინ არ შეუშვათ,—ექიმი არის ავადმყოფთანაო. ასე ეწამებია მკითხავ-ექიმს ავადმყოფი დილიდან შუადღემდის. მერე ეთქვა პატრონისათვის, ავადმყოფი მეორე დღისთვის ფეხზედ წამოდგებაო და წასულა. მისულან მაშინვე ავადმყოფთან და საბრალოს უკვე სული დალევია.

26 იანვარს გამომძიებელი იყო რუისში; მკითხავ-ექიმი კი ციხეში გაგზავნეს.

—

დ. ხიდისთავი (გურია). შაბათს, 26 ამ თვეს, აქაურ სცენის მოყვარულთაგან სამკითხველოს შენობაში წარმოდგენილი იყო ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი „დილა ქორწინების შემდეგ“ ალ. ყაზბეგისა. წარმოდგენა გამართული იყო სამკითხველოს სასარგებლოდ; ხალხი საკმაოდ დაესწრო, თუმცა ბილეთების ფასი ჩვეულებრივზე უფრო ძვირი იყო. ვერ ვიტყვით, რომ წარმოდგენა კარგი ყოფილიყო, თუმცა მოყვარულთ ცდა არ მოუკლიათ და როლები კარგათ ჰქონდათ შესწავლილი. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, რომლის დროს, სხვათა შორის, მშვენივრად იმღერეს გიტარაზე ქ-ბატონმა ელენე დუმბაძისამ და ელისო კალანდაძემ.

სასურველია, რომ წარმოდგენა ხშირად გამართონ ხოლმე. მივაქცევთ გამგეთა ყურადღებას იმაზე, რომ წარმოდგენის დროს ეცადონ და მეტი წეს-რიგი დაიცვან.

წერილი გურიიდან

ორი განაჩენი და არც ერთი სამკითხველო.—ბანკი.—უგზოობა.—ჯოჯოხეთური კრება.—მამასახლისობა გემრიელი ყოფილა.

ამ ხუთი თუ ექვსი წლის წინად ერთმა ძიმითელმა შეგნებულმა პირმა სახალხო სამკითხველოს ნება-რთვა ითხოვა და კიდეც მიიღო. დამაარსებელს ჰსურდა ეს გონების ჯალარო ისეთ ადგილას დაებინავებინა, რომ მთელ საზოგადოებას შესძლებოდა სარგებლობა, დასამხარი ყოფილი-

უთ როგორც ძიმითის ისე, ბაილეთისაც. ბევრი მითქმა-მოთქმა, ბევრი შეჯახება გამოიწვია ასეთ ადგილის ამორჩევამ, მაგრამ არ იქნა, რის გამო სამკითხველო დროებით შევარებული იქმნა ძიმითის ორ-კლასიან სკოლასთან (ამ საზოგადოებას ორია სამინისტრო სკოლა აქვს—ერთი ორ-კლასიანი და ერთიც ერთ-კლასიანი), სადაც ის ღებულობდა რამდენიმე ჟურნალ-გაზეთებს. მაგრამ დახეთ ამ სამკითხველოს ბედს, მისდა საუბედუროდ დამაარსებელს სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო სხვაგან მოუხდა ყოფნა და სამკითხველოს ბედ-იღბალი ერთს აქაურ ვაჟბატონს მიანდო. მთელი ზაფხულის განმავლობაში (როცა იქ მასწავლებელი არ იყო) იგი კარ-გამოკეტილი იყო. ბოლოს, თუ არ ვცდები, წარსული წლის 22 ნოემბერს მოხდა კრება; გამოცხადდნენ ძიმითელებიც და ბაილეთელებიც. ბაილეთელებმა ითხოვეს კრება გადადევით, შემდეგისათვის მოვიწვიოთ მთელი საზოგადოება და სამკითხველო ნივთიერად უზრუნველ ვყოთ. ძიმითელებმა ახალ გამგის თაოსნობით ბაილეთელების თხოვნას „უპტკაზეს". ბაილეთელებიც კრებას არ დაესწრნენ. ძიმითელებმა გარდასწყვიტეს სამკითხველოს გადატანა, დროებით გამგის დამტკიცება, წევრთა მიღება და იქვე საწევრო ფული შეიკრიბა 30 მანეთამდის. გარდაწყვეტილების თანახმად, სამკითხველო მოთავსებული იქმნა ძიმითის ერთ-კლასიან სკოლაში.

ამით შეურაცხყოფილმა ბაილეთელებმა ამ წლის 5 იანვარს მოიყარეს თავი ორ-კლასიან სკოლის დარბაზში და 140 კომლმა ხელი მოაწერა განაჩენზე ყოველ-წლიურად სამკითხველოს შესანახად გაიღოს 60 მანეთი (განაჩენზე ხელი უწერია მხოლოდ მოხარკე წოდებას.) იმ პირობით, თუ სამკითხველოს შენობა აგებული იქნება სკოლის და სოფლის სასამართლოს ეზოში. გამგემ უარი სთქვა სამკითხველოს უკან დაბრუნებაზე და ამის საბუთად მოიყვანა პირველის კრების განაჩენი, რომელიც იურიდიულად კანონიერი იყო. მთლად სიტყვის გათავება არც კი აცალეს ბ. გამგეს და ბაილეთელები საცემრად მიიწიეს. მიღებულმა ზომებმა გადაგვარჩინეს სისხლის ღვრას. ბედნიერი ხარ, მკითხველო, რომ ეს ჯოჯოხეთური კრება არ გინახავს, მე კი უყურებდი და არ მჯეროდა. რისთვის და რაზე იბრძვის ეს ხალხი—სამკითხველო და მისით სარგებლობა აინტერესებს ამ ზომამდე, თუ პირადობა? ასე სამკითხველოს ორი განაჩენი გვაქვს ქაღალდზე, სამკითხველოს კი ჯერ ჟურნალ-გაზეთიც არ აქვს გამოწერილი ახალწლიდან და ჩვენი საწევრო ფული „უპრაგონოთ" ხრაგუნობს გამგის ჯიბეში.

—

ჩვენში სასოფლო შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობაც კი არსებობს, მაგრამ მისი მაჯის ცემა ახლო მომავალში „კრიზისს" გვიქადის. იქნება; როგორც სხვა ჩვენი ამხანაგობანი, სამარხი კასის წევრად ჩაეწეროს... სად არის, რას აკეთებს გამგეობა?!

—

სასოფლო გზები... ღმერთმა დაგიფაროს, მკითხველო, აქეთ მგზავრობისაგან, თუ თავი დაზღვეული არ გაქვს. განაჩენი კი ბევრი არის, მაგრამ აქაც შენ-ჩემობა და „პარტიობა" ხელს გვიშლის. სად არის მამასახლისი?!

—

ღმერთმა ყველაფერი კარგი გაგახსენოს. მამასახლისზე მომაგონდა. ამას წინად მამასახლისი ცოტა უქეიფოდ შეიქნა. თავისი თანამდებობა მოადგილეს (კანდიდატს) გადასცა. გაწყრა ღმერთი და მამასახლისი არ მოკვდა, კანდიდატის საუბედუროდ. მორჩა და ჯაჭვის ჩაბარებაც სთხოვა თავის ქვეშევრდომ მოადგილეს. ამ ვაჟბატონს თურმე ისე ეგემრიელა მამასახლისობის ჯაჭვი, როგორც ბ-ნ ივანოვს ქალაქის ჯაჭვი. შენც არ მომიკვდე; მამასახლისმა ნებით ჯაჭვი ვერ მიიღო. ისევ დაილოცა ძალა: ბოქაულის შეფუცხუნების შემდეგ ინება ძალად მამასახლისმა გემრიელი ლუკმის დატოვება, მაგრამ გადაცემის დროზე ორი ობოლი „კურცხალი" (ცრემლი) კი დააყარა ჯაჭვს.

სკვინჩა.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ, ეს მცირე განცხადება დამიბეჭდოთ გაზეთ „ცნ. ფურცელში": პატივი მაქვს ვაცნობო ჩოხატაურის მხრის მკითხველთ და განსაკუთრებით აქაურ მასწავლებელთ, რომ იანვრის თვიდან დ. ჩოხატაურში ვხსნი წიგნის მაღაზიას. უმთავრესი მიზანი ჩემი ამ საქმის გამოწყობისა არის ა) დავუახლოვო აქაურ მკითხველ საზოგადოებას ყოველგვარი ადვილი გასაგები გამოცემები ქართულ ენაზე და ბ) ვიქონიო თავთავის დროზე ყოველ გვარი საკანცელარიო მასალა და სახელმძღვანელოები აქაურ სკოლებისათვის, ფას-დაკლებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა თანაგრძნობა ადგილობრივ მასწავლებლებისა. მასწავლებელი იძულებულია ხანდისხან სწავლის დროს სკოლას თავი დაანებოს და კვირაობით სასწავლო ნივთები ეძიოს ქალაქებში. ხშირად ორჯელ და სამჯერაც უხდება გამგზავრება ერთ და იმავე ნივთისათვის. ამნაირად ერთი რომ სწავლის საქმე ფერხდება თავის დროზე საჭირო ნივთების შეუძენლობის გამო და მეორეც—ისედაც ნივთიერად ხელმოკლე მასწავლებელი უფრო ღატაკდება. ამ ორ თვალსაჩინო დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, საჭირო არის, ჩემის აზრით, ზემოხსენებულ პროვინციის ყველა მასწავლებლებმა მთავრობის ნება დართვით ერთგვარი სახელმძღვანელოები შემოიღონ თავიანთ სკოლებში სახმარებლად. ამასთან, ერთ-ერთ კრებაზე, რომელსაც ისინი გამართავენ ამ საგნის შესახებ, მე მათ წარვუდგენ საკუთარ ჩემ რვეულების ნიმუშს და აგრეთვე სხვა და სხვა წიგნის მაღაზიების რვეულების ნიმუშებსაც და ამ ნიმუშებიდან ისინი ამოირჩევენ საუკეთესოს. ყველა ამაების დაკვეთას და თავთავის დროზე დამზადებას წინად განსაზღვრულ პირობებით ვიკისრებ მე; ვეცდები ჩემი მოვალეობა პირნათლად შევასრულო. ვსთხოვ, ვისაც ჰსურს ამ საგნის შესახებ, თავისი აზრი შეგვატყობინოს. საქმეს დროზე შევუდგეთ, საჭიროა საქმე აპრილის ღალევამდის მოგვარდეს, რომ მე თავის დროზე შემეძლოს შევუდგე ჩემდამი მონდობილი მოვალეობის ასრულებას, რათა ყველაფერი მზად მქონდეს მომავალი ენკენისთვისათვის.

მ. ს. რამიშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

30 იანვარი.

პეტერბურგი. 28 იანვარს საზამთრო სასახლეში გაიმართა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა მესამე ბალი. მოწვეული იყო ავსტრიის მთელი საელჩო. მოწვეულთა რიცხვი ათასამდე იყო. სტუმრებმა მოსვლა იწყეს მეცხრე საათზე; მათი უდიდებულესობანი გამობრძანდნენ 9 საათზე და 30 წამ. პირველი კადრილი ხელმწიფე დედოფალმა იცეკვა ავსტრიის ერც-ჰერცოგთან. ბალმა მხიარულად ჩაიარა. პირველის ნახევარზე მათი უდიდებულესობანი საკონცერტო დარბაზში შებრძანდნენ სავახშმოდ. სუფრაზე ხელმწიფე-დედოფლის მარჯვნივ ადგილი დაიჭირა ავსტრიის ერც-ჰერცოგმა; ხელმწიფე-იმპერატორი ვახშმის დროს გარს უვლიდა სტუმრებს. 2 საათ. და 40 წამზე მათი უდიდებულესობანი სტუმრებს გამოეთხოვნენ.

30 იანვარს საზამთრო სასახლში გაიმართა მათ უდიდებულესობათა საგვარეულო საუზმე, რომელზედაც მოწვეული იყო ავსტრიის ერც-ჰერცოგი.

30 იანვარს, სამ საათზე, ვარშავის რკინის გზით გაემგზავრა ავსტრიის ერც-ჰერცოგი. გასაცილებლად ვოკზალზე მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავარნი, ავსტრ-უნგრეთის მთელი საელჩო, მე-26-სე დრაგუნთა პოლკის დეპუტაცია და უმაღლესი სამხედრო პირნი.

ათინა. რამდენმა დეპუტატმა პალატაში კითხვა აღძრა სახარების გადათარგმნაზე. ერთი დეპუტატთაგანი, ტესტაკისის მომხრე, ამტკიცებდა, რომ ამ საკითხის გამო აგიტაცია ოპოზიციის საქმე იყო, რომელსაც აზრადა ჰქონდა კაბინეტის დამხობა. რამდენმამე პირმა მიუთითა კანონის დაცვაზე, რომელიც უკრძალავს ყოველ-გვარს თარგმნას.

ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში, რომელიც პალატას წარუდგინეს, ჰსურთ კრედიტი გააძლიერონ, რათა აღადგინონ საელჩოები ლონდონში, პეტერბურგში, რომში და ბელგრადში. მინისტრი ლაპარაკობს საელჩოების აღდგენის სარგებლობაზე და ამტკიცებს, რომ საელჩოებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო.

ომსკი. პირველ დაწყებითი განათლების სამზრუნველო საზოგადოებამ დაადგინა სახალხო სახლი აეშენოს.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუბერნიის საერობო ექიმთა საბჭომ დაადგინა, ექიმ კომაროვიჩის საქციელი, რომელმაც უარი უთხრა ავადმყოფს საერობო საავადმყოფოში მიღებაზე, გათავებულად სცნოს კომაროვიჩის წერილით, რომელიც „ვოლგარში" არის დაბეჭდილი. ამ წერილში კომაროვიჩმა შეინანა თავის საქციელი და ავადმყოფს თანაგრძნობა განუცხადა.

საექიმო საბჭომ საჭიროდ დაინახა გადაკეთოს საერობო ამბულატორიები.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფ"-ი ამბობს: ჩვენის აზრით, ვეი-ხაი-ვეის შესახებ ახალმა განკარგულებამ რუსეთი უნდა დაარწმუნოს, რომ ჩვენ გულ-წრფელადა გვსურს მასთან კეთილი შეთანხმება. ჩვენ რომ ეჭვი დაგვებადებოდა რუსეთთან სრულს და მტკიცე შეთანხმებაზე, ეხლაც კი შეგვეძლო დასახელებული ადგილი სიმაგრედ გარდაგვექცია. ის გარემოება, რომ ამგვარი ზომების მიღებას აღარ ვაპირებთ, დამამტკიცებელია იმისა, რომ ჩვენ რუსეთის მტრობა არა გვაქვს. მთავრობა დარწმუნდა, რომ რუსეთიც ასეთისავე აზრით არის გამსჭვალული.

ქაირი. დიდნი მთავარნი კირილე და ბორის ვლადიმირის ძენი სუეცში წავიდნენ, საიდანაც აღმოსავლეთისაკენ გაემგზავრებიან.

ჟიტომირი. ოლქის სასამართლოში გასარჩევად დანიშნულია დიდი საქმე, რომლით ბრალი ედებათ მემამულეს, კერძო ვექილს, ნატარიუსად ნამყოფს და სხვათა, რომ მათ შეადგინეს ყალბი სამედიატორო განაჩენი, რისთვისაც წინადვე დახიეს გლეხის ქალის გონჩაროვის რწმუნების ქაღალდი; ამ ქაღალდის ძალით-კი მემამულე კრაშევსკიმ ქალისთვის უნდა გადაეცა მამული სამედიატორო განაჩენით. ბრალდებულნი უნდა დაიცვას კარაბჩევსკიმ, რომელიც ცოლის სიკვდილის გამო არ მოვიდა. ჰფიქრობენ, რომ საქმე გადაიდება.

ლიბავა. რადგანაც ტკბილი ზამთარია და ამის გამო გემებს შეუძლიანთ ბალტიის ზღვის ნავთსადგურებში თავისუფლად მივიდ-მოვიდნენ, ლიბავაში საქმეები შეფერხდა და არც სამუშაოა.

ვარშავა. ჩეხთა და სლოვენთა საზოგადოებამ „პობედა"-მ გუშინ ვარშავაში „ინგლისის სასტუმროში" მიიღო ჩეხიის მრეწველთა დელეგატები ვაჭართა და ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა თანადასწრებით. შემდეგ ურთი-ერთის მისალმებისა, დაადგინეს იშუამდგომლონ ავსტრიის საელჩოს დახმარებით, რომ ვარშავაში ოფიციალურად დაწესდეს საქონლის მუზეუმი, რათა ამ საქონელმა კონკურენცია გაუწიოს გერმანელების საქონელს, მხოლოდ კი არ დაუშალოს ადგილობრივი წარმოების ინტერესებს. პარასკევს დელეგატები კიევში მიდიან.

31 იანვარი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში გამოცხადებულია დროებითი წესები, რომლითაც სამხედრო სამსახურში მყოფ დამნაშავეთ ციმბირში გადასახლების მაგიერ სხვა სასჯელი მიესაჯებათ.

შავი ჭირის საწინაღმდეგო კომისია აცხადებს: რადგანაც ბათუმში 9 იანვრიდან საეჭვო ავადმყოფობა აღარ აღმოჩენილა, კომისიამ დაადგინა, ბათუმიდან გამავალ გემებზე ჯერ-ჯერობით კიდევ იქონიონ სანიტარული ზედამხედველობა; მხოლოდ მოისპოს ამ გემების გასინჯვა შავი ზღვის სხვა ნავთ-სადგურებში; მოისპოს აგრეთვე ბათუმიდან რკინის გზით მიმავალ მგზავრების დათვალიერება.

ქალაქი სმირნა შავის ჭირის მხრით უშიშრად არის აღიარებული.

პოლტავა. პოლტავის სამაზრო სასწავლებელთა საბჭომ დაადგინა გოგოლის სახსოვრად გადაიხადოს წირვა და პანაშვიდი და საერობო სკოლის მოწაფეეთ დაურიგოს მისი თხზულებანი.

ასტრახანი. „პრიკასპიისკი გაზეთ"-ს ატყობინებენ, რომ ბაქო-ასტრახანს შუა მიმომსვლელ გემებით ნავთის გადაზიდვა ეღირება ფუთი $4^{1}/_{2}$ კაპ., მაზუთის—7 კაპეიკამდე.

სოფელ სტარიცაში მშობიარეს ბებია-ქალმა უბრალო დანით გაუჭრა მუცელი, რის გამოც მშობიარე ქალი გარდაიცვალა.

ვაშინგტონი. ინგლისის ელჩის მოქმედება ამერიკისა და ესპანიის ომის წინად გაუგებარია; ფაუნსპოტმა წარმოადგინა მხოლოდ წინადადება ავსტრიის ელჩისა, ისიც დიდის ხვეწნის შემდეგ.

ბერლინი. „რეიჰსანცაიგერ"-ში გამოქვეყნებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რა აზრისანი იყვნენ 1898 წ. სახელმწიფონი ესპანიისა და ამერიკის ომში ჩარევის შესახებ.

მოსკოვი. დღეს დიდის მთავრის სერგეი ალექსანდრის ძისა და მისის უავგუსტოესის მეუღლის თანადასწრებით აკურთხეს ელისაბედის თავშესაფარის ახალი შენობა. რუკავიშნიკოვმა დიდ მთავრინას მიართვა ადრესი, რომლითაც სამზრუნველოს საბჭოს წევრები აცხადებენ, რომ შეაგროვეს 15000 მანეთი თავშესაფარში მისი უმაღლესობის სახელობაზე სტიპენდიების დასაარსებლად.

ივანოვო-ვოზნესენსკი. მუშების უბედურ შემთხვევათაგან საურთიერთო დაზღვევის საზოგადოებამ, რომელიც ადგილობრივმა მევაჭრეებმა და მექარხნეებმა დააარსეს, დაიწყო თავისი მოქმედება.

ოდესა. ქალაქის ერთს ქუჩას გოგოლის სახელი დაერქმევა, ხოლო იმ სახლს, სადაც გოგოლი 1850—51 წლებში ცხოვრობდა, მიაკრავენ მარმარილოს ფიცარს შესაფერისის ზედწარწერით.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ხდ. [illegible]

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, ძიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ეღიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩათახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუდიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ძიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის

„მოამბე-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ-გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	9 მ.
6 თვით	4 „	6 თვით	7 „
1 „	75 კ.	1 „	90 „

ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატება და „ცნობის ფურცელი" უფასოდ გაეგზავნებად, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი. წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ, 1-ლ აგვისტომდე—2 მ.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქ., ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ-Пурцели."

Дозволено цензурою Тифлисъ, 31 Января 1902 года.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.